დამტკიცებულია:

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“
რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის № ო/07 ბრძანებით

საქველემოქმედო ფონდ „ქართული გალობიდან“ (ფონდისა და გიორგი მთაწმინდელის სახელობის) და ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნანა გოთუას სახელფასო ფონდიდან სტიპენდიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქველმოქმედო ფონდ „ქართული გალობიდან“ (შემდეგში „ფონდი“) (ფონდის სტიპენდია და გიორგი მთაწმინდელის სახელობის (შემდეგში „სახელობითი სტიპენდია“)) და ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის გალობის უნივერსიტეტიდან“ (შემდეგში „უნივერსიტეტი“) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნანა გოთუას სახელფასო ფონდიდან (შემდეგში „უნივერსიტეტის სტიპენდია“) სტიპენდიების დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესი (შემდეგში „წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტში სტუდენტთათვის სამივე სახეობის სტიპენდიის დანიშვნის, გაცემისა და შეწყვეტის წესს.
2. წესი გულისხმობს უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დაწესებას ნახევარი სასწავლო წლის (ერთი სემესტრი - 4 თვე) განმავლობაში:
   ა) ფონდის სტიპენდია წესდება უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ყოველთვიურად 100,00 ლარის ოდენობით, ხოლო სახელობითი - ერთი სტუდენტისთვის - 150,00 ლარის ოდენობით;
   ბ) უნივერსიტეტის სტიპენდია წესდება უნივერსიტეტის სტუდენტთათვის ყოველთვიურად 80,00 ლარის ოდენობით;
   გ) ფონდის სტიპენდია 100,00 ლარის ოდენობით წესდება სამი და მეტშვილიანი სტუდენტი დედისთვის;
   დ) ფონდის სტიპენდია 80,00 ლარის ოდენობით წესდება სტუდენტი დედისთვის, შვილის შეძენის შემთხვევაში.

მუხლი 2. სტიპენდიანტთა შერჩევა

1. სტუდენტებს სტიპენდიები ენიშნებათ შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
   ა) ფონდის სტიპენდია 100,00 ლარის ოდენობით ენიშნება სტუდენტებს, რომელთაც უკანასკნელი სასწავლო სემესტრის შედეგების გათვალისწინებით აქვთ აკადემიური მოსწრება 96 ქულა და ზემოთ, მათგან სახელობით სტიპენდიას მიიღებს ფონდის მიერ შერჩეული ერთი სტუდენტი;
   ბ) უნივერსიტეტის სტიპენდია 80,00 ლარის ოდენობით ენიშნებათ სტუდენტებს, რომელთაც უკანასკნელი სემესტრის შედეგების გათვალისწინებით აკადემიური მოსწრება აქვთ 91 ქულიდან - 95 ქულის ჩათვლით;
   გ) ამ წესის 1-ლი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიები სტუდენტებს ენიშნებათ აკადემიური მოსწრების მიუხედავად, გასული სემესტრის ყველა დასკვნით გამოცდაზე დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. თუ სტუდენტი სწავლის შედეგებითაც იმსახურებს ამ წესით გათვალიწინებულ რომელიმე

სტიპენდიას, მას დაენიშნება, მხოლოდ ის სტიპენდია, რომელიც ყველაზე მეტი ოდენობისაა.

2. სტიპენდიების დანიშვნისას გათვალისწინებული იქნება უნივერსიტეტის სახელით სტუდენტების გამოსვლა სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებსა და სხვა ღონისძიებებზე, აგრეთვე სხვა შემოქმედებითი აქტივობები;
3. სტიპენდია არ ენიშნება სტუდენტს, რომლის მიმართაც გამოყენებულია დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, გარდა შენიშვნისა (ზეპირი), ან რომელსაც ერთი სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი აქვს სალექციო საათების საერთო რაოდენობის 5%.
4. ამ მუხლის 1-ლი ქვეპუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტიპენდიები არ ენიშნება იმ სტუდენტს, რომელიც ერთ-ერთ დასკვნით გამოცდაზე მიიღებს „F“ ან „FX“ შეფასებას.

მუხლი 3. სტიპენდიის გაცემა

1. ფონდი სტუდენტს ფონდისა და სახელობით სტიპენდიებს უნიშნავს უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარდგენილი სიის საფუძველზე.
2. უნივერსიტეტის სტიპენდია ინიშნება რექტორის ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით.
3. სტიპენდია გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, ყოველი კალენდარული თვის 27-დან - თვის ბოლო რიცხვამდე სტიპენდიანტის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

მუხლი 4. სტიპენდიის ვადაზე ადრე შეწყვეტა

1. სტიპენდიის გაცემის პერიოდში სტიპენდიანტს სტიპენდია ვადაზე ადრე შეუწყდება, თუ სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ პერიოდში მის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ღონისძიება, შენიშვნის (ზეპირი) გარდა, ან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში არასაპატიოდ გაცდენილი სალექციო საათების საერთო რაოდენობა მიაღწევს 5%-ს.
2. ფონდისა და სახელობითი სტიპენდიების გაცემა სტუდენტს შეუწყდება უნივერსიტეტის რექტორის მიმართვის საფუძველზე, ხოლო უნივერსიტეტის სტიპენდიის გაცემა ხელოვნებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 5. წესის ძალაში შესვლა

1. წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.
2. წესი ამოქმედდეს დამტკიცებისთანვე.